

# თბილისის მოსახლეობა და ქალაქზე ზრუნვა

## კვლევის ანგარიში

---

მომზადებულია "ეისითის" მიერ "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის"

თბილისი, მაისი, 2018



act



---

## ❖ კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია

## კვლევის მიზანი

თბილისის მოსახლეობის ცოდნის, დამოკიდებულების და ქცევის შესწავლა ქალაქში მზრუნველობასთან მიმართებაში

კვლევის მეთოდი	თვისებრივი კვლევა	რაოდენობრივი კვლევა
კვლევის არეალი	თბილისი	თბილისი
კვლევის ტექნიკა	ფოკუსური ჯგუფური დისკუსია	პირისპირ ინტერვიუ (CAPI- Computer Assisted Personal Interview)
შერჩევის ზომა	4 ჯგუფური დისკუსია (8-9 მონაწილე)	400 ინტერვიუ
შერჩევის მეთოდი	მიზნობრივი შერჩევა	სტრატეგიული კლასტერული შერჩევა შერჩევის ცდომილება (MOE) = 4.9%
სამიზნე ჯგუფი	18-30, 31-50 ასაკის თბილისის სხვადასხვა უბნების მაცხოვრებლები	18-60 წლის თბილისის მოსახლეობა
ინტერვიუს / ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა	2 საათი	30-35 წუთი
კვლევის ჩატარების თარიღი	მაისი, 2018	მაისი, 2018



act

## ❖ კვლევის შედეგები

❖ გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევა და მისი პრევენციის მექანიზმები


# გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევა - სიხშირე და პრობლემატურობა

მე წაგიკითხავთ სხვადასხვა ქცევების ჩამონათვალს. მიუხედავად იმისა უშუალოდ ყოფილხართ თუ არა ასეთი ფაქტის მომხმარებელი, როგორ ფიქრობთ, რამდენად ხშირად ხდება მსგავსი რამ თბილისში / თქვენს გარემოში?

მოქალაქეები ანაგვიანებენ გარემოს, ქუჩებს, ეზოებს	3.34
მოქალაქეები აზიანებენ მინისქვეშა გადასასვლელებს	4.09
მოქალაქეები აზიანებენ ინფრასტრუქტურას პარკებში სკვერებში	4.27
მოქალაქეები აზიანებენ ტრანსპორტის ინტერიერს	4.30
მოქალაქეები აზიანებენ ინფრასტრუქტურას სხვა საერთო მოხმარების სივრცეებში	4.70
მოქალაქეები აზიანებენ საცხოვრებელი ეზოების ინფრასტრუქტურას	5.02
მოქალაქეები ითვისებენ/იპარაფენ ინფრასტრუქტურას და მწვანე საფარის ელემენტებს	5.77

შესაფასებლად გამოყენებულია 10 ქულიანი სკალა, სადაც „1“=„ძალიან ხშირად“, ხოლო 10 =„არასდროს“.

რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ქალაქისთვის? თქვენ პირადად რომელი პრობლემა გალელვებთ ყველაზე მეტად?




ურბანული გარემოს დაზიანებისკენ/ გარემოს გაუფრთხილებლობისკენ მიმართულ ქცევებს შორის, თბილისის მოსახლეები ყველაზე ხშირად გარემოს დანაგვიანების შემთხვევებს აწყდებიან (საშუალო ქულა=3.34). ამ სახის ქცევას რიგითობით მოსდევს მინისქვეშა გადასასვლელების დაზიანება (საშუალო ქულა=4.09) და პარკებში და სკვერებში ინფრასტრუქტურის დაზიანება (საშუალო ქულა=4.27).

მოქალაქეების მხრიდან გარე ინფრასტრუქტურისა თუ მწვანე საფარის ელემენტების მითვისების შემთხვევებს, კვლევის მონაწილეების აზრით, ყველაზე იშვიათად აქვს ადგილი; თუმცა ამ შემთხვევაშიც საშუალო ქულა შუანერტილთან ახლოსაა, რაც ნიშნავს, რომ გამოკითხულები მსგავს ქცევას არც თუ ისე იშვიათად აწყდებიან თბილისში.


გარემოს დანაგვიანება აღიქმება ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად როგორც ზოგადად ქალაქისთვის, ისე პირადად ინდივიდუალურად გამოკითხული მოქალაქეებისთვის. მას მოსდევს პარკების და სკვერების ინფრასტრუქტურის დაზიანება, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა. მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვან პრობლემებს შორის მესამე ადგილას კი არის ქალაქის ინფრასტრუქტურისა და მწვანე საფარის ელემენტების მითვისების შემთხვევები.

# გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევა და მასზე რეაგირება (1)

როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევით, თუ სხვა თანამოქალაქის მიერ ქალაქის დანაგვიანების ფაქტს შეესწრებით?



როგორ ფიქრობთ, როგორ მოიქცევით, თუ სხვა თანამოქალაქის მიერ ქალაქის ინფრასტრუქტურის დაზიანების ფაქტს შეესწრებით?




კვლევის რესპონდენტებს დაესვათ ჰიპოთეტური შეკითხვა, თუ როგორ მოიქცეოდნენ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის დანაგვიანების ან ურბანული ინფრასტრუქტურის დაზიანების მომსწრეები გახდებოდნენ.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მსგავს ჰიპოთეტურ სიტუაციაში თბილისის მოსახლეები უფრო მეტად გამოხატავენ მზაობას მისცენ შენიშვნა ინდივიდს, რომელიც ინფრასტრუქტურას აზიანებს (81%), ვიდრე ინდივიდს, რომელიც ქალაქს ანაგვიანებს (65%). სხვადასხვა სამსახურებისთვის მსგავსი ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მზაობა საკმაოდ დაბალია.


# გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევა და მასზე რეაგირება (2)

გთხოვთ გაიხსენოთ, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შესწრებიხართ ფაქტს, როდესაც სხვა პირი ცდილობდა დაეზიანებინა / დააზიანა ქალაქში განთავსებული საერთო სარგებლობის ნივთი ან ინფრასტრუქტურა?




N=401

გთხოვთ გაიხსენოთ, როგორი იყო თქვენი რეაქცია?



N=144

რა არის იმის მიზეზი, რომ თქვენ არ მოახდინეთ რეაგირება, როდესაც სხვა პირი ცდილობდა დაეზიანებინა / დააზიანა ქალაქში განთავსებული საერთო სარგებლობის ნივთი ან ინფრასტრუქტურა?




N=35

ქალაქის ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევას გამოკითხულთა 10% ერთხელ, ხოლო 26% რამდენჯერმე შესწრებია. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი (66%) აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტზე ჰქონდა რეაგირება და მიუთითა დამნაშავეს მისი არასწორი საქციელის შესახებ. თუმცა, თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული აცხადებს, რომ აღნიშნულ შემთხვევას არ მიაქცია ყურადღება და არანაირი რეაგირება არ ჰქონია (29%). იმ მოქალაქეებისთვის, ვისაც არ ჰქონდა რეაგირება, შემთხვევებელ ფაქტორს, ყველაზე ხშირ შემთხვევაში, კონფლიქტის წარმოშობის რისკი წარმოადგენს (65%).



# გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევა და მასზე რეაგირება (3)


გთხოვთ გაიხსენოთ, ბოლო 5 წლის განმავლობაში, შესწრებისათვის ფაქტს, როდესაც სხვა პირი ცდილობდა დაენაგვიანებინა / დაანაგვიანა ქალაქში არსებული საერთო სარგებლობის სივრცე?



- დიახ, ერთხელ
- დიახ, რამდენჯერმე
- არასდროს

N=401

გთხოვთ გაიხსენოთ, როგორი იყო თქვენი რეაქცია?



N=306

რა არის იმის მიზეზი, რომ თქვენ არ მოახდინეთ რეაგირება, როდესაც სხვა პირი ცდილობდა დაენაგვიანებინა / დაანაგვიანა ქალაქში არსებული საერთო სარგებლობის სივრცე?




N=99

ქალაქის დანაგვიანების შემთხვევების მომსწრეები თბილისის მოსახლეები უფრო ხშირად ხდებიან (6% - ერთხელ; 70% - რამდენჯერმე). დანაგვიანების ფაქტებზე რეაგირება და შენიშვნის მიცემა უფრო ნაკლებად გავრცელებული ქცევაა, თუმცა გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (52%) აცხადებს, რომ მსგავს საქციელზე მიუთითებს დამნაშავეს. დანაგვიანების შემთხვევების თვითმხილველების 34% აცხადებს, რომ არ ჰქონდა არანაირი რეაქცია დანაგვიანების შემთხვევაზე, რის ძირითად მიზეზადაც კვლავ კონფლიქტის წარმოშობის რისკი სახელდება.


# გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევის პრევენციის მექანიზმები

თქვენი აზრით, რა ხერხს უნდა მიმართოს მერიამ, რომ შემცირდეს ქალაქში ინფრასტრუქტურის დაზიანების/ დანაგვიანების შემთხვევები? თქვენი აზრით, რა ხერხი გაამართლებს ყველაზე მეტად?



როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, გარემოს დაზიანებაზე მიმართული ქცევის პრევენციის ყველაზე ეფექტიან მექანიზმებად მიიჩნევა მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება (52%), სანქციების გამკაცრება (46%) და არსებული სანქციების აღსრულება (18%). გამოკითხულთა 40% მიიჩნევს, რომ მეთვალყურეობის გაძლიერება ასევე ეფექტიანი შეიძლება იყოს გარემოს დაზიანების პრევენციისთვის.

სანქციების დანესებისა და მათი აღსრულების ეფექტიანობას ადასტურებს კვლევის სხვა მონაცემებიც. ასე მაგალითად, კვლევის მონაწილეების 60% თვლის, რომ უფრო მკაცრი სანქციების შემთხვევაში ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების შემთხვევები შემცირდება.






❖ ქალაქზე ზრუნვა - მისი მოტივატორები და ბარიერები

# ქალაქის გარემოს შეფასება და ქალაქზე ზრუნვა



რამდენად ეთანხმებით ქვემოთ მოცემულ დებულებებს? (1=სრულიად არ ვეთანხმები  
5=სრულიად ვეთანხმები)




კვლევის მონაწილეები აფასებდნენ თბილისის გარემოს კეთილმოწყობისა და სისუფთავის თვალსაზრისით; ასევე, აფიქსირებდნენ საკუთარ მოსაზრებას თბილისის მაცხოვრებლების ქალაქზე ზრუნვაში ჩართულობასთან დაკავშირებით.

თბილისი კეთილმოწყობის თვალსაზრისით უფრო მეტი რესპონდენტის მიერ ფასდება დადებითად, ვიდრე სისუფთავის თვალსაზრისით. გამოკითხულთა 22% მიიჩნევს, რომ თბილისში კეთილმოწყობილი გარემოა, მაშინ როდესაც მხოლოდ 12% ეთანხმება მოსაზრებას, რომ თბილისში სუფთა გარემოა.

რაც შეეხება მოქალაქეების მხრიდან თბილისზე ზრუნვას, თბილისის მაცხოვრებლების აზრით, მოქალაქეები ნაკლებად იჩენენ ქალაქზე ზრუნვის ინიციატივას (66%) და არ ხარჯავენ ძალისხმევას ქალაქის გააღამაზებაზე (63%).

# სასურველი ცვლილებები

თბილისის მერია გეგმავს სხვადასხვა პროექტების/აქტივობების განხორციელებას ქალაქში. ქვემოთ მოცემულია დედაქალაქთან დაკავშირებული პროექტების/აქტივობების ჩამონათვალი. გთხოვთ დამისახელოთ 5 პროექტი, რომელთა განხორციელებაც ყველაზე მნიშვნელოვანია თბილისის განვითარებისთვის.



N=401


დედაქალაქთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტივობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანად, ქალაქის განვითარების თვალსაზრისით, მიიჩნევა ავარიული შენობების რეაბილიტაცია (54%), გამწვანების პროექტების განხორციელება (48%), მინისქვეშა და მინისზედა პარკინგების მონყობა (40%).

ასევე გამოკითხულთა მესამედი საჭიროდ მიიჩნევენ გამაჯანსაღებელი და სპორტული ცენტრების მშენებლობას (34%), ენერგოეფექტური ტრანსპორტის შემოყვანას (33%), მტკვარის დასუფთავება (33%), ახალი ავტობუსების შემოყვანას (32%) და ფეხით მოსიარულეთა ზონების შექმნას (32%).

ახალი ველობილიკების დამატება ყველაზე იშვიათად დასახელდა 5 ყველაზე სასურველ პროექტს შორის (10%).

# ქალაქზე ზრუნვა - თბილისის მოსახლეობის გამოცდილება

ბოლო ერთი წლის მანძილზე, გაგიკეთებიათ თუ არა პირადად თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრს ან გაგიღიათ თუ არა თქვენი პირადი ფული ამ აქტივობებისთვის?



N=401

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, თბილისის მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ საკუთარი უშუალო გარემოს მოვლაში საკმაოდ აქტიურადაა ჩართული. გამოკითხულთა დიდი ნაწილი აცხადებს, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საკუთარი წვლილი შეიტანა სადარბაზოს დასუფთავებაში (87%) და სადარბაზოს განათების გამოცვლაში (78%).


საკუთარი რესურსებით სადარბაზოს შეკეთება (57%) და საერთო ეზოს დასუფთავება (44%) ასევე მეტნაკლებად გავრცელებული ქცევაა.

შედარებით ნაკლებ თბილისის მაცხოვრებელს ჰქონდა ბოლო ერთი წლის მანძილზე საერთო ეზოს გამწვანება/გალამაზების ან ინფრასტრუქტურის შეკეთების გამოცდილება (26% და 22%). გამოკითხულთა მეხუთედი ამბობს, რომ ბოლო ერთი წლის მანძილზე საერთო ეზოს ინფრასტრუქტურის მონაცობაშიც მიიღო მონაწილეობა (20%).

რაც შეეხება საერთო სარგებლობის ადგილების დასუფთავებას, გამწვანებას და ინფრასტრუქტურის შეკეთებას, ამ მხრივ, რესპონდენტების აქტიურობა ყველაზე დაბალია.

# ქალაქზე ზრუნვის პასუხისმგებლობა

თქვენი აზრით, შემდეგი აქტივობების განხორციელება უფრო მეტად მოქალაქის პასუხისმგებლობაა თუ უფრო მეტად მერიის? (1=მოქალაქე 3=ორივე თანაბრად 5=მერია)



თბილისის მოსახლეობის პასუხისმგებლობის ვექტორი მიმართული არ არის სხვებთან ერთად გაზიარებულ სივრცეზე ზრუნვაზე. თბილისის მაცხოვრებლები, უმრავლეს შემთხვევაში, გარემოს კეთილმოწყობის პასუხისმგებლობას მერიას აკისრებენ.


გამოკვეთილად უფრო მოქალაქის პასუხისმგებლობად აღიქმება საკმაოდ ვიწრო „პრივატული“ სივრცე. ასე მაგალითად, სადარბაზოს ყოველდღიური სახის მოვლა (დასუფთავება, განათების გამოცვლა) უფრო მეტად მოქალაქის პასუხისმგებლობად აღიქმება (65%). უფრო მასშტაბური აქტივობის, მაგალითად, სადარბაზოს რემონტის შემთხვევაში, მოქალაქეები უკვე პასუხისმგებლობას მერიას აკისრებენ (40%), თუმცა, გამოკითხულთა ნაწილი საკუთარ თანამონაწილეობასაც მიიჩნევს მიზანშეწონილად (44%).

მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა საერთო ეზოს დასუფთავებასა და გამწვანებას უფრო მეტად მერიის მოვალეობად მიიჩნევს, ამ ორი აქტივობის შემთხვევაში შედარებით დიდია იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც აღნიშნულ პასუხისმგებლობას მოქალაქის აკისრებენ.



# ქალაქზე ზრუნვა - ბარიერები

თქვენი აზრით, რა არის იმის მიზეზი, რომ თბილისის მოსახლეობა არ უფრო თხილდება ქალაქის გარემოს / არ ზრუნავს ქალაქზე?



ქალაქზე ზრუნვის პასუხისმგებლობის არიდება და მერიაზე გადატანა დასახელდა ზრუნვის ქცევის ბარიერად გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ (51%).

ინდივიდუალური ძალისხმევის შედეგის გაუცნობიერებლობა (44%) და პოზიტიური მაგალითის არარსებობა (41%) ასევე ქალაქზე ზრუნვის ბარიერების ტოპ-სამეულში არსებული მიზეზებია.

ინსტრუმენტალური ბარიერი - მოქალაქის მხრიდან იმის არცოდნა, თუ კონკრეტულად როგორ შეიძლება შეიტანოს წვლილი ქალაქზე ზრუნვაში - გამოკითხულთა თითქმის მესამედის მიერ დასახელდა როგორც თბილისის მოსახლეობის პასუხისმგებლობის მიზეზი (32%).

გამოკითხულთა 16% თვლის, რომ თბილისის მაცხოვრებლებისთვის სათაკილოა ქალაქზე ზრუნვა და ეს წარმოადგენს მათი მხრიდან ინიციატივის არარსებობის მიზეზს.

სანქციების შიში, როგორც მოქალაქეთა ინიციატივის შემათავსებელი ფაქტორი ასევე გამოკითხულთა 16%-ის მიერ დასახელდა.


ამასთან, კვლევის მონაწილეებმა დააფიქსირეს ისეთი ზოგადი ხასიათის ბარიერები, როგორებიცაა ცნობიერების დაბალი დონე, ზოგადი გულგრილობა და მოსახლეობისთვის სხვა პრობლემების პრიორიტეტულობა.



# ქალაქზე ზრუნვის ბარიერები - დიხოტომიური დებულებები (1)

ახლა მე წავიკითხვათ ორ-ორ წინადადებას, რომელშიც გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. გთხოვთ თითოეულ მათგანთან დაკავშირებით მითხრათ, რომელი არის უფრო ახლოს თქვენს პირად მოსაზრებასთან:

- ვფიქრობ, როცა არ ვანაგვიანებ და არ ვაზიანებ გარემოს ქალაქში, ეს უკვე თბილისის კეთილმონყოლაზე ზრუნვაა ჩემი მხრიდან
- მოქალაქეები იხდიან ბიუჯეტში გადასახადს იმისთვის, რომ მერიამ იზრუნოს ქალაქის კეთილმონყოლაზე და სისუფთავეზე
- ვფიქრობ, რომ პასუხიმგებელი ვარ მხოლოდ ჩემს საკუთრებაში არსებული სივრცის (სახლის, ეზოს) დასუფთავებაზე და კეთილმონყოლაზე




- ჩემი მხრიდან ქალაქზე ზრუნვა იქნება თუ / როცა საკუთარი ინიციატივით მის დასუფთავებაზე, გამწვანებაზე და კეთილმონყოლაზე ვიზრუნებ
- მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მოქალაქე იხდის გადასახადს, მათ მაინც მერიასთან ერთად უნდა იზრუნონ ქალაქის კეთილმონყოლაზე და სისუფთავეზე
- ვფიქრობ, რომ თბილისი თითოეულ აქ მაცხოვრებელს ეკუთვნის და თითოეული მათგანის მოსავლელი / საზრუნავია

როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, თბილისის მოსახლეობის დიდი ნაწილი თვლის, რომ ქალაქზე ზრუნვა თითოეული მაცხოვრებლის მოვალეობაა და ყველა მოქალაქემ უნდა იზრუნოს ქალაქის კეთილმონყოლაზე და სისუფთავეზე. თუმცა, ამავე დროს, გამოკითხულთა დიდი ნაწილი (61%) თვლის, რომ მათი თბილისზე ზრუნვა იმაში გამოიხატება, რომ ისინი არ ანაგვიანებენ და არ აზიანებენ გარემოს; მხოლოდ გამოკითხულთა 27% ეთანხმება მოსაზრებას, რომ ქალაქზე ზრუნვა საკუთარი ინიციატივით მის დასუფთავებაში, გამწვანებასა და კეთილმონყოლაში წვლილის შეტანას ნიშნავს.

აღნიშნული ერთი შეხედვით დისონანსი აჩვენებს, რომ თბილისის მაცხოვრებელი ჩამოუყალიბებელია თავის პოზიციაში და მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება განცხადების დონეზე თითოეული მოქალაქის მხრიდან ქალაქზე ზრუნვას უჭერს მხარს, რეალურად თავად დანაგვიანებისა და დაზიანებისგან თავის შეკავების გარდა არანაირი ინიციატივით არ გამოირჩევა.

# ქალაქზე ზრუნვის ბარიერები - დიხოტომიური დებულებები (2)


ახლა მე წავიკითხვათ ორ-ორ წინადადებას, რომელშიც გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. გთხოვთ თითოეულ მათგანთან დაკავშირებით მითხრათ, რომელი არის უფრო ახლოს თქვენს პირად მოსაზრებასთან:



კვლევის შედეგების თანახმად, ქალაქზე ზრუნვის ქცევის ერთ-ერთ ბარიერს წარმოადგენს თბილისის მაცხოვრებლების მხრიდან გარკვეული ზრუნვის ქცევის სათაკილოდ მიჩნევა. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, ქალაქის დასუფთავება თუ ქალაქში ინფრასტრუქტურის შეკეთება უფრო მეტად სათაკილო, ვიდრე საამაყო ქცევად მიიჩნევა.

# ქალაქზე ზრუნვის ბარიერები - დიხოტომიური დებულებები (3)

ახლა მე წავიკითხვათ ორ-ორ წინადადებას, რომელშიც გამოთქმულია ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები. გთხოვთ თითოეულ მათგანთან დაკავშირებით მითხრათ, რომელი არის უფრო ახლოს თქვენს პირად მოსაზრებასთან:




კვლევის შედეგების თანახმად, ქალაქზე ზრუნვის ერთ-ერთი ბარიერი იმის არცოდნაა, თუ როგორც შეიძლება შეიტანოს თითოეულმა მოქალაქემ წვლილი ქალაქზე ზრუნვაში. გამოკითხულთა 63% აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ უფიქრია საკუთარი წვლილი შეეტანა ქალაქის დასუფთავებისა თუ კეთილმოწყობის საქმეში, არ იცის, ეს როგორ შეიძლება გააკეთოს. სანქციების შიში, როგორც ზრუნვის ქცევის ბარიერი აქტუალურია გამოკითხულთა 64%-ის აზრით; ეს რესპონდენტები აცხადებენ, რომ არ იციან რისი გაკეთების უფლება აქვთ და რისი არა. რაც შეეხება პოზიტიური მაგალითის არარსებობას, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) აცხადებს, რომ მათ გარშემო უმრავლესობა არ ზრუნავს ქალაქის კეთილმოწყობასა და სისუფთავებზე.

# ქალაქზე ზრუნვა - მოტივატორები



თქვენი აზრით, რა უბიძგებდა თბილისის მოსახლეობას უფრო აქტიურად ჩაერთონ ქალაქზე მზრუნველობაში?



კვლევის მონაწილეების აზრით, მოსახლეობაში ზრუნვის ქცევის მაპროვოცირებელი ყველაზე ეფექტიანი საშუალება ქალაქის მოვლის ჯგუფური აქტივობების ორგანიზებაა (57%). ასევე, შედეგიანად მიიჩნევა ცნობიერების ამაღლების აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში (57%).

საინფორმაციო კამპანია, ზრუნვის ქცევის დადებითი შედეგების აქცენტირებით ეფექტიანი შეიძლება იყოს გამოკითხულთა 48%-ის აზრით.


გამოკითხულთა 43% მიიჩნევს, რომ ეფექტიანი შეიძლება იყოს ინსტრუმენტალურ ბარიერზე მუშაობა და მოქალაქეებისთვის კონკრეტული მაგალითების ჩვენება, თუ როგორ შეიძლება თითოეულმა მათგანმა იზრუნოს ქალაქზე.

გამოკითხულთა მეოთხედი (25%) თვლის, რომ ცნობადი სახეების მაგალითმა შეიძლება დადებითად იმოქმედოს მოქალაქეების მოტივაციაზე და მათ მისცეს ბიძგი, ჩაერთონ ქალაქზე ზრუნვაში. თბილისის შედარებით მეტი მოსახლე (42%) ფიქრობს, რომ ჩვეულებრივი ადამიანების მზრუნველობის მაგალითების ჩვენება შეიძლება მოქალაქეების მოტივირებას და მათ ქალაქზე ზრუნვაში ჩართვას შეუწყობს ხელს.





❖ კვლევის რესპონდენტების მახასიათებლები / დემოგრაფია





## ❖ ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

# ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები (1)

ძირითადი მიგნება	რეკომენდაცია
<b>ჯგუფური აქტივობების ორგანიზება</b>	
<p>როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, მოსახლეობის ქალაქზე ზრუნვაში ჩართვის ერთ-ერთი ძლიერი მოტივატორი შეიძლება იყოს <b>კოლექტიური აქტივობები</b>. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით (57%), ქალაქის მოვლის ჯგუფური აქტივობების ორგანიზება ხელს შეუწყობს თბილისზე ზრუნვაში მოქალაქეების ჩართვას. ჯგუფური აქტივობები მიიჩნევა მამოტივირებელ აქტივობად, სადაც კარგ საქმესთან ერთად გართობა, ახალი ნაცნობების გაჩენა და კარგი დროის გატარებაა შესაძლებელი.</p>	<p>შესაბამისად, კოლექტიური აქტივობების იდეის დომონანტურობიდან გამომდინარე შეიძლება ეფექტიანი იყოს ისეთი ჯგუფური აქტივობების ორგანიზება, სადაც ინდივიდი ჩაერთვება არა მარტო, არამედ <b>ოჯახთან, ბავშვებთან, მეზობლებთან, თანამშრომლებთან</b> ერთად.</p>
<b>პოზიტიური მაგალითის ჩვენება</b>	
<p>კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ადამიანები საკუთარი სოციალური „ნეთვორქის“ რეაქციის/აღიარების მიხედვით ახდენენ საკუთარი ქცევის მოდელირებას; დიდი მნიშვნელობა ენიჭება <b>პოზიტიური მაგალითის ზეგავლენას</b>. კვლევის შედეგების თანახმად, ქალაქზე ზრუნვის ბარიერად <b>პოზიტიური მაგალითის არარსებობა</b> მიიჩნევა - თბილისის მაცხოვრებელთა 53% აცხადებს, რომ იმ ადგილას სადაც ცხოვრობს, <b>უმრავლესობა არ ზრუნავს</b> ქალაქის კეთილმოწყობასა და სისუფთავეზე. ამასთან, ქალაქზე ზრუნვის ერთ-ერთ ბარიერად დასახელდა გარკვეული ზრუნვის ქცევის <b>სათაკილოდ</b> მიჩნევა. გამოკითხულთა 42% თვლის, რომ თბილისის მოსახლეობის ქალაქზე ზრუნვაში აქტიურად ჩართვას შეიძლება ხელი შეუწყოს მოსახლეობისთვის იმის ჩვენებამ, თუ ჩვეულებრივი ადამიანები როგორ ზრუნავენ ქალაქზე. რესპონდენტების 25%-ის აზრით კი, ზრუნვის ქცევის მაპროვოცირებელი ცნობადი სახეების მაგალითი შეიძლება იყოს.</p>	<p>შესაბამისად, ეფექტიანი შეიძლება იყოს კამპანიაში <b>ROLE MODEL</b>-ების კონცეფციის გამოყენება - ქალაქზე ზრუნვის პოზიტიური მაგალითების ჩვენება, რაც საზოგადოებრივად მისაღები და მისაბაძი გახდება.</p> <p>ROLE MODEL-ების კონცეფციის გამოყენება შეიძლება ორი მიმართულებით: (1) ერთ შემთხვევაში შესაძლებელია „ზრუნვის“ ქცევის <b>ავტორიტეტულ, საყვარელ ცნობად სახეებთან</b> დაკავშირება და მათი ქცევის მიბაძვის ხელშეწყობა, (2) მეორე შემთხვევაში კი შეიძლება სამაგალითო მოდელები იყვნენ <b>ჩვეულებრივი „მზრუნველი“ ადამიანები</b>, რომლებთანაც თბილისის მაცხოვრებლები თვითიდენტიფიკაციას შეძლებენ.</p>



# ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები (2)

ძირითადი მიგნება	რეკომენდაცია
<b>ახალგაზრდების, როგორც ლოკომოტივის გამოყენება</b>	
<p>როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ყველაზე ნაკლები ბარიერი ქალაქზე მზრუნველობის თვალსაზრისით <b>ახალგაზრდებს</b> აქვთ. ამავე დროს, <b>ახალ თაობაში</b> ცნობიერების ამაღლების კუთხით რესურსის ინვესტირება <b>ყველაზე ეფექტიანად</b> განიხილება - საბაზისო განათლების ეტაპზე <b>საგანმანათლებლო აქტივობების</b> ორგანიზებას ეფექტიან საშუალებად მიიჩნევს გამოკითხულთა 57%.</p>	<p>შესაბამისად, ეფექტიანი შეიძლება იყოს კამპანიის თარგლებში დაგეგმილი აქტივობების კონკრეტული კომპონენტები, ფართო საზოგადოებასთან ერთად, ახალგაზრდებზე იყოს ფოკუსირებული. შესაძლებელია <b>ახალგაზრდების როგორც ლოკომოტივის</b> გამოყენება, რომლებიც საზოგადოების სხვა ჯგუფების ჩართულობას შეუწყობენ ხელს. ამასთან, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო აქტივობების ხელშეწყობა <b>საგანმანათლებლო დაწესებულებებში</b>, ადრეული ასაკიდან ცნობიერების ამაღლებისთვის.</p>
<b>მიზგ-შედეგობრივი კავშირის ჩვენება</b>	
<p>როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, უფრო საინტერესოდ მიიჩნევა აქტივობები, რომლებიც მოსახლეობას არა მხოლოდ აწვდის ინფორმაციას, არამედ <b>კონკრეტულ შედეგებს</b> აჩვენებს. გამოკითხულთა მეოთხედის აზრით, ზრუნვის ქცევის ბარიერს წარმოადგენს მათი ზრუნვის ქცევის შედეგების გაუცნობიერებლობა. ამასთან, საინფორმაციო კამპანია, ზრუნვის ქცევის დადებითი შედეგების აქცენტირებით ეფექტიანი შეიძლება იყოს გამოკითხულთა 48%-ის აზრით.</p>	<p>შესაბამისად, ეფექტიანი შეიძლება იყოს საინფორმაციო კამპანიაში აქცენტის გაკეთება არა მხოლოდ სასურველ „ზრუნვის“ ქცევაზე (ან პირიქით „სათაკილო“/“დასაძრახ“ არა-ზრუნვის/ვანდალურ ქცევაზე), არამედ კონკრეტულ <b>მიზგ-შედეგობრივ ჯაჭვზე</b> ანუ იმ შედეგებზე, რომლებამდეც შეიძლება მიგვიყვანოს „ზრუნვის“ ან პირიქით „არა-ზრუნვის“ ქცევამ.</p>

# ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები (3)



## ძირითადი მიგნება

## რეკომენდაცია

### კონკრეტული ქმედებების აქცენტირებით ინსტრუმენტალური ბარიერის დაძლევა

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, რომელსაც აქვს სურვილი ჩაერთოს ქალაქზე „ზრუნვაში“, არ იცის ინსტრუმენტალურად როგორ შეიძლება ამის განხორციელება. რესპონდენტების 63% აცხადებს, რომ უფიქრია საკუთარი წვლილი შეეტანა ქალაქის დასუფთავების და კეთილმოწყობის საქმეში, თუმცა **არ იცის ეს როგორ გააკეთოს**.

ამასთან, ჩართულობის ერთ-ერთ ბარიერად დასახელდა კონკრეტული ქმედებების განხორციელების „უფლებების“ არქონა/სანქციების შიში. გამოკითხულთა 64% აცხადებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის კეთილმოწყობაში საკუთარი წვლილის შეტანა მოუწია, **არ იცის რისი გაკეთების უფლება აქვს და რისი არა**.

შესაბამისად, ეფექტიანი შეიძლება იყოს კამპანიის გარკვეულმა კომპონენტებმა ფოკუსი გააკეთოს **კონკრეტულ ქმედებებზე** და მიუთითოს საზოგადოების წევრებს თუ როგორ შეიძლება შეიტანონ წვლილი ქალაქზე „ზრუნვაში“ ანუ კონკრეტულად რა შეიძლება გააკეთოს თითოეულმა მოქალაქემ, რა სახის ქმედებები არის დასაშვები და რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ამ ინდივიდუალურმა ძალისხმევამ.

### კონკრეტულ სივრცეებზე საკუთრების შეგრძნებისა და პასუხისმგებლობის გაჩენა

თბილისის მოსახლეობის პასუხისმგებლობის ვექტორი მიმართული არ არის **სხვებთან ერთად გაზიარებული სივრცის მოფრთხილებაზე**. მოსახლეობა ზრუნავს „საკუთარზე“, „პრივატულზე“, „კერძოზე“, ხოლო „საერთოზე“ ზრუნვა პრიორიტეტად არ მიაჩნია.

შესაბამისად, კამპანია ორიენტირებული უნდა იყოს მოსახლეობაში კონკრეტულ სივრცეებზე „საკუთრების“ (ownership) და შესაბამისად, „პასუხისმგებლობის“ (responsibility) აქცენტირებაზე და ამ სივრცეების არეალის ეტაპობრივად გაზრდაზე.

### ვინრო გეოგრაფიული არეალის აქცენტირება


კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ თბილისი მოსახლეობას აქვს **პრივატული სივრცის ვინრო გაგება**, ე.ი. „საკუთარად“ აღიქმება საკმაოდ ვინრო სივრცე და ეს განცდა იშვიათ შემთხვევაში ვრცელდება მთელს ქალაქზე. მოსახლეობა ყურადღებას ამახვილებს ისეთ ინფორმაციაზე/ინიციატივაზე, რომელიც კონკრეტულად მათ თემს/სამეზობლოს/უბანს ეხება.


შესაბამისად, უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს მოსახლეობის ზრუნვის ქცევის მოტივირება „ვინრო“/„ახლო“ ლოკაციაზე აქცენტის გაკეთებით და კამპანიის ისეთი კომპონენტების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება **კონკრეტულ „ვინრო“ გეოგრაფიულ არეალზე**. ასევე შესაძლებელია მსგავსი მონოდებების ქალაქზე ზრუნვის ზოგად კონტექსტში ჩასმა („პირადზე“ ზრუნვის და „საერთოზე“ ზრუნვის დაკავშირება).



act

### ACT საქართველო

 ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილის ქუჩა 8,  
0131, თბილისი, საქართველო


 +995 322422322

 [geo@act-global.com](mailto:geo@act-global.com)

 <http://www.act-global.com>

### ACT ყაზახეთი

 ფურმანოვის 235, ალმა-ატა, ყაზახეთი

 +770 75777777

 [kaz@act-global.com](mailto:kaz@act-global.com)

 <http://www.act-global.com>

### ACT აზერბაიჯანი

 ჯ. ჯაბარლის ქუჩა 44, ბაქო, აზერბაიჯანი

 +994 125058468

 [az@act-global.com](mailto:az@act-global.com)

 <http://www.act-global.com>